

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

31 იანვარი, 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ № 75

სხდომის დაწყების დრო 20:00

სხდომამდე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხაგიაშვილი, (თავმჯდომარე), ნოდარ ფეიქრიშვილი, იოსებ ბარათაშვილი, გოჩა სვანიძე, ცისმარი ონიანი, ბესო აბაშიძე, ზვიად კორძაძე.

დღის წესრიგი:

1. ადვოკატის დღის დაწესებასთან დაკავშირებით აღმასრულებელი საბჭოს წევრების წინადადებების განხილვა. ბ-ნ იოსებ ბარათაშვილის წინადადება – ადვოკატის დღედ - 8 ნოემბრის დაწესების შესახებ;
2. სადაზღვევო კომპანიების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული განგრძობადი იურიდიული განათლების გამოცდილების შესახებ აღმასრულებელი მდივნის და სასწავლო ცენტრის უფროსის მიერ მომზადებული ანალიზის გაცნობა;
4. აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2010 წლის 29 ნოემბერს დამტკიცებული 2011 წლის ასოციაციის ბიუჯეტში გათვალისწინებული დაზღვევის ხარჯებიდან (160 0000 ასსამოცი ათასი ლარი), 20 000 (ოცი ათასი) ლარის დამატება 2010 წლის 9 ნოემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ქუთაისის რეგიონალური ოფისის შესაძენად ასოციაციის ბიუჯეტიდან

გამოყოფილ თანხაზე (70 0000 სამოცდაათი ათას ლარი). ჯამში, 2011 წლის ასოციაციის ბიუჯეტში გამოყოფილ იქნას 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი ქუთაისის რეგიონალური ოფისის შესაძენად.

5. ახალი წევრების მიღება და ხელახალი გაწევრიანება;
6. ბატონ ზვიად კორძაძის ინიციატივა: საერთაშორისო ორგანიზაციებზე მიმართვის ტექსტის განხილვა და დამტკიცება, განგრძობადი იურიდიული განათლების დაფინანსების და განგრძობადი იურიდიული განათლების ამოქმედების ხელშეწყობაში დახმარების აღმოჩენის მიზნით;
7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის დებულების დატკიცება;
8. სხვადასხვა

გ ა დ ა წ ყ დ ა :

1. აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2010 წლის 29 ნოემბერს დამტკიცებული 2011 წლის ასოციაციის ბიუჯეტში გათვალისწინებული დაზღვევის ხარჯებიდან (160 0000 ანსამოცი ათასი ლარი), 20 000 (ოცი ათასი) ლარი დაემატოს 2010 წლის 9 ნოემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ქუთაისის რეგიონალური ოფისის შესაძენად ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას (70 0000 სამოცდაათი ათას ლარი). ასოციაციის 2011 წლის ბიუჯეტში შევიდეს შესაბამისი ცვლილება; ჯამში ასოციაციის 2011 წლის ბიუჯეტში გამოყოფილ იქნას 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი ქუთაისის რეგიონალური ოფისის შესაძენად.
2. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით;
3. დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილება შეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე.
4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის დებულება დამტკიცებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი სახით ;
5. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ 21³ მუხლის, 1 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის საფუძველზე საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტა ასოციაციის წევრი – ელისაბედ მამუჩაშვილის მიმართ.

ზ ა ზ ა ხ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი

ასოციაციის თავმჯდომარე